**ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**პედაგოგიური ფაკულტეტი**

# „ვეფხისტყაოსნის" სწავლების მეთოდიკა

**(სილაბუსი)**

**სალექციო კურსის სტატუსი:** არჩევითი

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი)

**ასოცირებული პროფესორი:** ნინო სოზაშვილი, ასოცირებული პროფესორი

**საკონტაქტო ტელეფონები:** 27 34 92 , 899 98 53 03

კურსის ისწავლება მაგისტრატურის საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციალობაზე (III სემესტრი).

**ხანგრძლივობა:** 15 კვირა – 125 სთ. ა) სააუდიტორიო – 45 სთ. (ლექცის – 15, პრაქტიკული – 30); ბ) დამოუკიდებელი – 80. კვირაში ჩატარდება 3 სააუდიტორიო შეხვედრა.

საკონსულტაციო საათები: ხუთშაბათი, 14:00-16:00 სთ.

**სალექციო კურსის მიზანი:** ვეფხისტყაოსნის სწავლების მეთოდიკის სპეციფიკის შესწავლა. კურსი მიზნად ისახავს „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის, სიუჟეტისა და მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგორიულ ინტერპრეტაციის შესწავლას. სწავლების მეთოდოლოგიურ პრობლემებს და მათ თანამედროვე ასპექტში გადაწყვეტას. სალექციო კურსის ამოცანები კურსის მიზანს ემსახურება ამ ამოცანებს წარმოდგენს: „ვეფხისტყაოსნის მითოსურ-ფოლკლორული სამყაროს შესწავლა და ანალიზი; ქრისტიანულ კულტურასთან „ვეფხისტყაოსნის" ურთიერთობის შესწავლა; „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველებითი ასპექტები.

**სასწავლო კურსის შედეგი:** კურსის დასრულების შემდგომ, სტუდენტს უნდა შეეძლოს ახლებური გააზრება რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა და მსოფლმხედველობისა. უნდა შეეძლოს თანამედროვე მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად შეასწავლოს მოსწავლეს „ვეფხისტყაოსანი".

## სწავლის შედეგების კრიტერიუმები

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის „ვეფხისტყოსნის“ სახისმეტყველებითი ასპექტების ასპექტების რაობა;<br>იცნობს პოემის ძირითად კონცეფციებს; | აქვს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.<br>დაუფლებულია პოემასთან დაკავშირებული თემატიკის დამუშავებას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული პრობლემების შეფასება, ანალიზი;<br>შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია საკითხის ირგვლივ დაკავშირებული მასალის მოპოვება-დამუშავება, ანალიზი. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალისწინებებთ სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა. | გააჩნია ანალიზისა და სინთზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; |
| ღირებულებები | იცნობს ქართული ლიტერატურის და „ვეფხისტყაოსნის“ დამახასიათებელ ღირებულებებს. | იხილავს და აანალიზებს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ საკითხებს.<br>ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიართა აზრს. |
| სწავლის უნარი | საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა | ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება; |
| კომუნიკაციის უნარი | საკუთარი აზრის დამაჯერებლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი აკადემიურ საზოგადოებაში | აკადემიურ საზოგადოებასთან განსხვავებული( შესაბამისი) სტილით კომუნიკაცია პროფესიონალურ დონეზე |

## კურსის სტრუქტურა:

**I კვირა:**

ქართული რენესანსული კულტურის პრობლემის სწავლების სპეციფიკა.

ლიტერატურა: რ. სირაძე, 2000, ქართული კულტურის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 280-317

**II კვირა:**

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები. ვეფხისტყაოსნის ავტორი. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხი.

ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954. გვ. 257-267

**III კვირა:**

,,ვეფხისტყაოსნის" ფაბულის სიუჟეტისა და კომპოზიციის სწავლების თავისებურებანი.

ლიტერატურა: თ. ახვლედიანი 2007 ,,ვეფხისტყაოსნის" მითოოსურ-ფოლკლორული სამყარო. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 5-45

**IV კვირა:**

ზესთა ოფელი ქართულ ფოლკლორში და რუსთაველის ,,მუნ" სამყარო

ლიტერატურა: თ. ახვლედიანი 2007 ,,ვეფხისტყაოსნის" მითოოსურ-ფოლკლორული სამყარო. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 45-36

**V კვირა**:

ალეგორიული მეთოდის ევოლუცია ანტიკურობასა და შუასაუკუნეებში.

ლიტერატურა: ზ. გამსახურდია. 1991, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება" გვ. 18-63

**VI კვირა:**

შუასაუკუნეობრივი ქალის კულტი და ,,ვეფხისტყაოსანი" სუფისტური მიჯნურობა და ვეფხისტყაოსანი. თამარ მეფის კულტი ,,თამარიანსა" და ,,ვეფხისტყაოსანში".

ლიტერატურა: ზ. გამსახურდია. 1991, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება" გვ. 64-156

**VII კვირა**: „ვეფხისტყაოსანი" და წმ. გიორგის კულტი საგმირო-სამიჯნურო ჟანრის წარმოშობისათვის წმ. გიორგის კულტის გამოძახილი „ვეფხისტყაოსანში".

ლიტერატურა: ზ. გამსახურდია. 1991, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება" გვ. 157-224

**VIII კვირა** :

გმირის იდეალი „ვეფხისტყაოსანსა" და ხალხური პოეტურ ტრადიციებში.

ლიტერატურა: თ. ახვლედიანი 2007 „ვეფხისტყაოსნის" მითოოსურ-ფოლკლორული სამყარო. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 97-170

**IX კვირა**:

ფანტასტიკურ გამონაგონი, მითოსურ-ზღაპრისეული პერსონაჟები „ვეფხისტყაოსანში".

ლიტერატურა: თ. ახვლედიანი 2007 „ვეფხისტყაოსნის" მითოოსურ-ფოლკლორული სამყარო. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 171-219

**X კვირა**:

ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების სიმბოლიკა.

ა) ალეგორიული მეთოდი გელათის აკადემიაში;

ბ) ალეგორიული ეტიმოლოგიზმი;

გ) საკუთარი სახელები ვეფხისტყაოსანში;

დ) ავთანდილის, როგორც გმირის ევოლუცია.

ლიტერატურა: ზ. გამსახურდია. 1991, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება~ გვ. 225-293

**XI კვირა** :

„ვეფხისტყაოსნის" იდეური არსის სწავლების მეთოდიკა.

ლიტერატურა: რუსთველოლოგია, 2005-2006. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 33-64

**XII კვირა**:

ჰეროიკული ინიციაცია ,,ვეფხისტყაოსანში". ,,ვეფხისტყაოსანი" და შუასაუკუნეობრივი რაინდული რომანი.

ლიტერატურა: ზ. გამსახურდია. 1991, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება". გვ. 294-342

**XIII კვირა**:

"ვეფხისტყაოსნის" იდეურ-თემატიკური მოტივების სწავლების სპეციფიკა.

ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954 გვ. 267-293

**XIV კვირა**:

მოთმინებით სულის პოვნა (,,ვეფხისტყაოსნის" კონცეფციისათვის). ,,ვეფხისტყაოსნის" იდეური არსის შესახებ. ამაღლებულისა და განსაცვიფრებელის ცნება რუსთაველთან.

ლიტერატურა: რუსთველოლოგია, 2005-2006. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. 22-29 გვ. 33-64, გვ.74-90

**XV კვირა**:

რუსთაველის ენის მხატვრული თავისებურებანი რუსთაველის პოეტური ენის ბგერითი მხარე. ,,ვეფხისტყაოსნის ~თარგმანები.

ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954 გვ. 293-310

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. ზ. გამსახურდია. 1991, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება”

2. თ. ახვლედიანი 2007 „ვეფხისტყაოსნის" მითოოსურ-ფოლკლორული სამყარო. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

3. რ. სირაძე, 2000, ქართული კულტურის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**დამატებითი ლიტერატურა:**

4. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954

5. რუსთველოლოგია, 2005-2006. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.